ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1503501

ნომერი: AR1227951

თარიღი : 10.06.2014

გაცემის თარიღი : 06.10.2014

გაცნობის თარიღი : 06.10.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარჯანიშვილი , N 29 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლეილა მესხი პ/ნ 01030000800
- თბილისი ნ.და კ.სალიების ქ. N 9

ორგანიზაცია:

- შპს ლეილა მესხის ჩოქბურთის აკადემია კოდი: 202904731

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1227951 (06.10.2014) განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კ. მარჯანიშვილის ქუჩა #29-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: #01.16.05.003.007) სასტუმროს განსათავსებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას, გაცნობებთ შემდეგს:

წარმოდგენილი საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, გამომდინარე აქედან, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საკითხი განიხილა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ (იხ. დანართი: 01.07.2014 ოქმი #დ/13/12/13). მათი გადაწყვეტილების შესაბამისად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხის განხილვა შესაძლებელია მხოლოდ საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების შემდგომ (დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)).

სამსახურმა ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილების საკითხი (სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)-ის, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ის, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)-ის და საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)-ის სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ად) განსახილველად წარადგინა ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2014 წლის 9 სექტემბრის #26 სხდომაზე (იხ. დანართი), სადაც მიიღო დადებითი რეკომენდაცია. საკითხი შემდგომი განხილვისთვის წარდგენილი იქნება ქალაქ თბილისის საკრებულოს სხდომაზე, რომლის საბოლოო გადაწყვეტილების შესახებაც სამსახური გაცნობებთ დამატებით.

ასევე გაცნობებთ, რომ „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) წარმოადგენს სარეკრეაციო ზონას, რომელიც მდებარეობს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ.: პარკი, ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი), ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართი -1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები, რომლის შესაბამისადაც სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ში სასტუმროს განთავსება შესაძლებელია სპეციალური ზონალური ნებართვის საფუძველზე, შესაბამისად, სანამ არ მოხდება ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხი. მხოლოდ აღნიშნულის განხორციელების შემდგომ იქნება შესაძლებელი თავიდან დააყენოთ მოთხოვნა ახალი განაცხადით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.